ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4405006

ნომერი: AR1665318

თარიღი : 03.03.2019

გაცემის თარიღი : 07.03.2019

გაცნობის თარიღი : 08.03.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 3 მარტის AR1665318 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
2015 წლის 21 აგვისტოს №2051226 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8 -ში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.06.008.078) (1523კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს #3784 ბრძანებით ქალაქი თბილისი, კედიას ქ. (ყოფ. კახოვკის) #8-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა : კ1=0,6; კ2=4,2. აქედან გამომდინარე, საჭიროა თავდაპირველად განხორციელდეს აღნიშნულ ბრძნებაში ცვლილების შეტანა. რისთვისაც, უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.
აქვე გაცნობებთ, ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, საჭიროა სამსახურს მომართოს იმ პიროვნებამ რომლებზეც/რომელზეც გაცემულია აღნიშნული დოკუმენტი ან, დამატებით წარმოადგინოთ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ: კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.